ოქმი №7

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2025 წლის 8 აგვისტოს.

სხდომა დაიწყო 11:30 საათზე, დამთავრდა 12:00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – გ. წურწუმია, ლ. ჯინორია, ბ. კალანდარიშვილი, ბ. შარტავა, ზ. ყურაშვილი, გ. ოდიშარია, მ. მირცხულავა.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირები: ე. კიზირია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ი. კალანდარიშვილი; საკრებულოს წევრი ი. აბულაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – გ. წურწუმია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის
სამსახურის უფროსის მ/შ: ე. კიზირია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 18 ივლისს შემოსული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილების განხილვის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

3. სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გოლასკურის მე-4 ქუჩის სახელის გადარქმევის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

4. სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გოლასკურის მე-2 ქუჩის სახელის გადარქმევის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 7; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის
სამსახურის უფროსის მ/შ: ე. კიზირია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 2) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობა შეფასებულ იქნეს დადებითად.
2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის 2025 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების თაობაზე, რათა წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 18 ივლისს შემოსული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილების განხილვის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 18 ივლისს შემოსული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილება - სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჯიხას პირველი ქუჩის მე-5 ჩიხისათვის ,,სოხუმის ჩიხის“ სახელის მინიჭების თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 1) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჯიხას პირველი ქუჩის მე-5 ჩიხისათვის ,,სოხუმის ჩიხის“ სახელის მინიჭების თაობაზე“, რათა წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს: 3. სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გოლასკურის მე-4 ქუჩის სახელის გადარქმევის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბნის მე-4 ქუჩის მოსახლეობის განცხადება, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბნის მე-4 ქუჩისათვის მამუკა არდიას სახელის მინიჭების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთვრობის 2015 წლის 1 ივნისის დადგენილება N239 - ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ - მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უარი ეთქვას თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბნის მე-4 ქუჩის მოსახლეობას, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბნის მე-4 ქუჩის მამუკა არდიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 2) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. უარი ეთქვას საქართველოს მთვრობის 2015 წლის 1 ივნისის დადგენილება N239 - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ - მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე - თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბნის მე-4 ქუჩის მოსახლეობას, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბნის მე-4 ქუჩის მამუკა არდიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: 4. სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გოლასკურის მე-2 ქუჩის სახელის გადარქმევის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბნის მე-2 ქუჩის მოსახლეობის განცხადება, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბნის მე-2 ქუჩისათვის ლიმორა არდიას სახელის მინიჭების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთვრობის 2015 წლის 1 ივნისის დადგენილება N239 - ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ - მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უარი ეთქვას თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბნის მე-2 ქუჩის მოსახლეობას, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბნის მე-2 ქუჩის ლიმორა არდიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 2) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. უარი ეთქვას საქართველოს მთვრობის 2015 წლის 1 ივნისის დადგენილება N239 - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ - მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე - თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბნის მე-2 ქუჩის მოსახლეობას, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბნის მე-2 ქუჩის ლიმორა არდიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე: გიგა წურწუმია